

ნინელი ჭოხონელიძე

ფუძეგაორკეცებული ზმნისართები რ. ინანიშვილის ენაში

რ. ინანიშვილის ენა სადა, ლაკონიური და ეკონომიურია, ამავედროულად – შინაარსით ფრიად ტევადი, გამომსახველობითი და ხატოვანი. მწერალი ყოველივე ამას სხვადასხვა ენობრივი საშუალებით აღწევს.

რ. ინანიშვილის მხატვრული ენის სტილის ერთ-ერთი თავისებურებაა კომპოზიცია. ახალი მნიშვნელობის მქონე კომპოზიტების საწარმოებლად მწერალი, ბუნებრივია, მიმართავს ქართული ენისათვის დამახასიათებელ კომპოზიციის წესებს, ახალია მხოლოდ მასში შემავალ სიტყვათა შეხამებანი, რომელთა მეშვეობითაც ვლინდება მწერლის ოსტატობა, მისი გამომსახველობითი უნარი.

მწერლის ენაში, რა თქმა უნდა, დასტურდება სალიტერატურო ქართულში უკვე ცნობილი როგორც ფუძეგაორკეცებული, ისე ნაირფუძიანი ახალი კომპოზიტები, რომლებიც წინადადებაში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ.

ამჯერად ჩვენ შევეხებით მწერლისეული ხელწერით შექმნილ ფუძეგაორკეცებულ ვითარების ზმნისართებს (ვითარების გარემოებებს). ისინი ძირითადად მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან ერთად დასტურდება. მწერლის პროზაში გამოვლენილი ამგვარი სინტაქსური წყვილები, ე. ი. ფუძეგაორკეცებული ვითარების გარემოებები და მოძრაობის, იშვიათად კი რაიმე მოქმედების აღმნიშვნელი ზმნა-შემასმენლები ახალ შინაარსობრივ ელფერსა თუ ერთგვარ ინტენსივობას სძენენ სათქმელს.

ფუძეგაორკეცებული ზმნისართები (სხვა ტიპის გარემოებათა მსგავსად) შეიძლება წინ უსწრებდეს ზმნა-შემასმენელს ან მოსდევდეს მას [აფრიდონიძე 1986: 42].

რ. ინანიშვილის პროზაში პრეპოზიციურად (ზმნა-შემასმენლის წინ) დადასტურებული ფუძეგაორკეცებული ზმნისართები ძირითადად გამოხატულია საწყისით, მიმღეობითა თუ არსებითი სა-

ხელით. ისინი ხშირად წარმოდგენილია მოქმედებით ბრუნვის ფორმით:

თოთიას ძმაკაცები მთვრალური **ბორიალ-ბორიალით წავიდნენ** (შორ. 13, 10).

ცაში **კრუტუნ-კრუტუნით დალივლივებენ** ულამაზესი ფრინველები – კვირიონები (საღ. 108, 1).

ვედრო **თრევა-თრევით წავილე** შინისკენ (ჯაფ. 122, 18).

წეროების... წინამძღოლმა კამარა შეჰკრა, გამრუდებული ისარივით **ბრუნვა-ბრუნვით წავიდა** მაღლა (ჯაფ. 359, 16).

რბილი **სკუპ-სკუპით გადასჭრის** ბილიკს ზურგზე წაბლისფერ გადაკრული კურდღელი (შორ. 292, 2).

სკვინჩა... ცალ ფეხზე **სკუპ-სკუპით წავიდა** სკვერის ბორდიურის ძირ-ძირ (შველ. 4, 7).

მოვეკრეფ იმ კუნელს, ჯიბეში ვიყრი, **ჭამა-ჭამით მივალ** (ასულ. 159, ქვ. 8).

[მგელი და ჯავრა] **გორვაგორვით* ჩავიდნენ** არხამდის (რ. ინან.) – ქეგლი.

მამა... ღვინოს... **ყლუპ-ყლუპით სვამდა** (მეგობ. 63, 9).

შესაძლებელია ზმნისართს (ვითარების გარემოების აღმნიშვნელ სიტყვას) ახლდეს გაძლიერებითი ნაწილაკი -**ც**, რომელიც დადასტურებითი **კი** ნაწილაკის თანხლებით ზმნა-შემასმენელთან შეხამებისას მეტ დამაჯერებლობას გამოხატავს (სემანტიკურად):

წყალი... ითმენს, **თამაშ-თამაშითაც კი მიაქვს** მსუბუქი რაღაცები (შველ. 49, ქვ. 4).

როცა ფუძეგაორკეცებული ზმნისართი (ვითარების გარემოება) ზმნა-შემასმენელს მოსდევს, ის დასტურდება როგორც მოქმედებითი, ისე ვითარებითი ბრუნვის (იშვიათად) ფორმითაც, ზოგჯერ კი ფუძის სახით არის წარმოდგენილი:

მიდიოდა ის (კატა) და **მისდევდნენ თამაშ-თამაშით** სხვები (ლამაზ. 25, 10).

ქალი... **წავიდა სიცილ-სიცილით** (ჯაფ. 352, 8).

[კაცი] **წავიდა** თოვლში **ბარგან-ბარგანით** (რ. ინან.) – ქეგლი.

* აღნიშნული ტიპის კომპოზიტები ერთად დაწერილობითაც დასტურდება მწერლის პროზაში.

წამოვიდა ის კაცი **ხარგან-ხარგანით**, მოვიდა ჩემთან და მიბრძანა: – «ამოიხედე შენ!» (რ. ინან.) – ქეგლი.

მეშრომე... **მუშაობს** მთელ დღეს **ჩუჩუნ-ჩუჩუნით** (ჩიტ. 53, 8).

ერთი და იგივე კომპოზიტი (ვითარების ზმნისართი) დასტურდება როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობით:

თუ კაცი დააყურებდა, გაიგონებდა..., როგორ **ჩამოდიოდა** სახურავიდან წვიმა **წვრიალ-წვრიალით** (რ. ინან.) – ქეგლი. **წვრიალ-წვრიალით დნებოდა** ის სპეტაკი თოვლი (რ. ინან.) – ქეგლი.

მწერალი ამა თუ იმ ვითარების ზმნისართის შინაარსის გასაძლიერებლად ხშირად მიმართავს ხარისხის აღმნიშვნელ **სულ** და **ეგრე** ფორმებს, აგრეთვე – დიალექტურ **სუ** ზმნისართს. ასეთ შემთხვევებში ვითარების გარემოების ადგილი თავისუფალია ზმნაშემასმენლის მიმართ და, შესაბამისად, სხვადასხვა პოზიციას იკავებს:

ამ გზაზე დავდივარ, **სულ ქვა-ქვა ვიცი-მეთქი** ყველაფერი (ასულ. 131, 2).

პაპამ... შეიდო ის ქვა მხარზე და **სულ სირბილ-სირბილით ჩაუტანა** ობოლ თელასთან გამოშვებული გუთნეულის გუთნისდედას (შორ. 213, 8).

გიგო... **სულ დიღინ-დიღინით მოდის** ბუდლუჯა წყაროზე (ალერს. 124, 19).

სუ ყანყალ-ყანყალით დადიან (ალერს. 145, 3).

ქალი **სულ მადლობა-მადლობებით წავიდა** (გოლ. 150, 31).

მოვიდოდა სულ სიცილ-სიცილით (ალერს. 88,10).

აგიწერ რთველს, თანაც დიდი სიამოვნებით, **სულ ღიმილ-ღიმილით** (ალერს. 12, 2).

მოვიდოდა იქაც **ეგრე თოხნა-თოხნით**, ჩემს ახალ საბრძანებლომდე, ისევ წამომიჩოქებდა (ალერს. 88, 21).

ვითარების ზმნისართთან (გარემოებასთან) დასტურდება **თითქოს** ნაწილაკიც, რომელიც აღნიშნავს იმას, რაც სინამდვილეში არ არის, რაც ჰგავს, მოგვაგონებს რასმე, – ვითომდა, ვითომც: გოგამ... **გზა განაგრძო** მზეში, **თითქოს ჰაერ-ჰაერ სიარულით** (ალერს. 328, 8).

მწერლის პროზაში ერთმანეთის გვერდით გვხვდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი როგორც მარტივფუძიანი, ისე ფუძეგაორკეცებული ზმნისართებით გამოხატული ვითარე-

ბის გარემოებები. მათი მოხმობით ფრაზა მეტ ექსპრესიულობასა და სილალეს იძენს:

მაშინ **ავდექი ფრთხილად, კანკალ-კანკალით** (ალერს. 51, ქვ. 8).

მიდოდა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, **მძიმედ, ხველებ-ხველე-ბით** (ჯაფ. 59, 3).

ფიცრის მესერს **გაჰყენენ**, – დათა კეფის **ფხანით, ღრეკით**, ბო-თა – **თამაშ-თამაშით** (ალერს. 320, 3).

(ჯიხვები) **ჩერებ-ჩერებით**, თავის გვერდზე მოქცევით **ჩადი-ოდნენ** (შორ . 295,14).

მტკაველ-მტკაველ, ციდა-ციდა აპატარავებდნენ ღმერთს (ჯაფ. 349, ქვ. 8).

გააფთრებული ტეხდა, **აფართოებდა** სენაკს, ... **გოჯ-გოჯად, ციდა-ციდად**, მაინც არ ეუფლებოდა სასოწარკვეთა (გოლ. 40, 33).

ჩქერები.. კედლებზე **ჩამოდიოდა ღვარ-ღვარად** (ალერს. 25, ქვ. 14).

თელაზე... გაიფრენს შიგ შაში ან ჩხართვი და **წამოვა შვაგ-შვაგად** თოვლი (შველ. 45, ქვ. 9).

კუფხლებს... **ვინაწილებდით მარცვალ-მარცვალ** (ალერს. 32, 7).

იარეს რიყე-რიყე, – ქვები სველი იყო (შველ. 39, 3).

ამ ტიპის კომპოზიტების (ვითარების გარემოების) პირველი ნაწილი წარმოდგენილია როგორც ფუძის (შეკვეცილი თუ სრული) სახით, ისე სახელობითი ბრუნვის ფორმით:

მივდივართ მინდორ-მინდორ, ტყე-ტყე, მთა-მთა (ჯაფ. 264, 6).

ისინიც **წავიდნენ ეზო-ეზო, სიმღერ-სიმღერით** (ალერს. 402, ქვ. 9).

მოდან ფოთლებიც, **ტრიალ-ტრიალით, ტკაპატკუპით, ფხო-კიალ-ფხოკიალით** (ალერს. 58, ქვ. 10).

გადავედით წმინდა, აქაფებულ ნაკადულზე, ჩანგრეული წის-ქვილის ქვემოთ, **ლოდი-ლოდ**, ერთმანეთის ქეხებით, სიცილით (ჯაფ. 375, 1).

(თინამ)... ფეხი განზე გადაგა. აქეთ-იქით გაწეული ხელებით თითქოს ჰაერს ეყრდნობოდა. **წავიდა ასე, ტაატ-ტაატით, დიმილით**, ერთი დიდი ვაზის ძირში მიჯდა, მიიყუნჭა (ალერს. 154, 4).

მწერლის პროზაში გვხვდება დიალექტური ლექსიკისათვის დამახასიათებელი ფუძეგაორკვეებული ზმნისართებიც:

იან-იან დადიან თავისთვის (ალერს. 341, ქვ.3). შდრ. იან (თურქ. yan) გვერდი, მხარე [ლლონტი 1984].

„პობედა“ **ზივილ-ზივილით მოაფარა** კუთხეს (ალერს. 149, 3).

ავამუშავეთ ტრაქტორი, თანაც დიდი ხმით, **სულ ტრახტრა-ხით** (შველ. 61, 3).

დასტურდება აგრეთვე დიალექტური, ფონეტიკურად ცვლილი ფუძეგაორკეცებული სახელებიც, რომლებიც ვითარების ზხმნისართის (გარემოების) ფუნქციას ასრულებენ.

შეცვლილია ხმოვანი:

ჩავცივდით ფლაქვა-ფლუქვით კბოდეზე (შორ. 139, ქვ.11). შდრ. ფლოქვი ჩლიქი – ქეგლი.

დათვი... თათების **ლარტყა-ლურტყით მიძუნძულებდა** (შორ. 247, 7).

მგლები... **ბლლარძა-ბლლურძით გადადიოდნენ** ღობეებზე (შორ. 185, 4). შდრ. ბლლარძან-ი ბლლემის, ბლლემით მოძრაობის ჩქამი – ქეგლი.

შეცვლილია როგორც ხმოვანი, ისე თანხმოვანი:

მოდან ფოთლებიც, **ტკაპა-ტკუპით** (გოლ. 312, 3). შდრ. ტყა-პა-ტყუპი – ქეგლი.

...შავ მაღალ სიმიანდებში, საშინელი ხმაურით, **ჯგლათა-ჯგლუთით მიმოიქცეოდა** სპილოთა და მარტორქათა შავი ლაშქარი (ასულ. 245, ქვ. 3). შდრ. ჯგლეთა/ჯგლითი «მრავალ კაცთ ვიწროდ ყოფნა, ჯრა» (საბა) – ქეგლი.

მაღალყელიან რეზინის ჩექმების **ფხლაკა-ფხლუკით** თავთავიანთი სახლებისკენ **წავლენ** (ჯაფ. 143,13). იხ. **ფხლაკა** კუთხ. (ფშ.) გახტომა, გავარდნა და ამით გამოცემული ხმა – ქეგლი.

ცხენები... **დაძრეს** ქვებზე ცხენების ფლოქვების **ღრაჭა-ღრუჭით** (ლამაზ. 105, 9). იხ. **ღრაჭა-ღრუჭი**-ი ძლიერი ღრაჭუნის (ნაწყვეტ-ნაწყვეტად). კბილებს გაუდის ღრაჭა-ღრუჭი – ქეგლი.

შეცვლილია თანხმოვანი:

ნელ-ნელა, შეკავებული **ზნეყ-ზნეყით ჩარბიან** ფერდობზე (ჯაფ. 366, ქვ. 3). შდრ. **ზნეყა** ღუნვა, დრეკა, [მო]ხრა – ქეგლი.

წავები... **გამოცვივდებიან** წყლის **ჩხაპ-ჩხაპით** ჩხნდეებიდან (შველ. 51, ქვ.9). შდრ. **შხაპი** «ჩქარი წვიმა» (საბა). შხაპუნა წვიმა – ქეგლი.

შეცვლილია თანხმოვანი და ხმოვანი:

წვიმა **თქლიშინ-თქლიშინით მეხეთქებოდა** სახეში (მეგობ. 146, 18). შდრ. **თხლამან**-ი ხმაბაძვ. გამეტებით სილის გარტყმის ხმა; «ლაწანი, ტკაცანი» (დ. ჩუბინ.) – ქეგლი.

ზოგჯერ ამა თუ იმ კომპოზიტს თავისებური შინაარსობრივი ელფერიც ახლავს:

კარტოფილი... **ამოვიდა სულ ხუჩხუჩით** (ასულ. 118, 23). შდრ. **ხუჩხუჩი** ძვ. 1 უხმო, გულამოსკვნით ტირილი, ქვითქვითი. 2. იგივეა, რაც კუჭკუჭი – ქეგლი.

მიგვაჩნია, რომ რ. ინანიშვილის მიერ ახლად შექმნილი თუ დიალექტური ფორმებით წარმოდგენილი კომპოზიტი ზმნისართები (ფუძეგაორკეცებული) განსხვავებულ სტილურ თავისებურებებთან ერთად მნიშვნელოვან სემანტიკურ დატვირთვას, გამომსახველობა-ტევადობასა და სილადეს ანიჭებენ ტექსტს.

ლიტერატურა

აფრიდონიძე 1986 – შ. აფრიდონიძე სიტყვათ განლაგება ახალ ქართულში, თბილისი.

კვაჭაძე 2010 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

კოშორიძე 2005 – ე. კოშორიძე, მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი.

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I - VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950 -1964.

ქეგლი, ახ. რედაქ. – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-II, ახალი რედაქცია. – მთავარი რედაქტ. ავთ. არაბული, თბ., 2008-2010.

ღლონტი 1984 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. III, თბილისი.

წყარო

- ალერს.** – ალერსი შიშიანობის დროს, თბ., 1986.
ასულ. – მთვარის ასული, თბ., 1987.
გოლ. – პატარა ბიჭი გოლგოთაზე, თბ., 1989.
ლამაზ. – ლამაზი ცრემლები თბ., 2005.
მეგობ. – მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან, თბ., 1958.
მოთხრ. – მოთხრობები, ე. კოშორიძის შედგენილი ლექსიკონითურთ, თბ., 2007.
სად. – სადამო ხანის ჩანაწერები, თბ., 1973.
შველ. – შველი ზამთრში, თბ., 1986.
შორ. – შორი თეთრი მწვერვალი, თბ., 1976.
ჩიტ. – ჩიტების გამომზამთრებელი, თბ., 1978.
ჯაფ. – ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა, თბ., 1974.

Nineli Chokhnelidze

Reduplicative Adverbs Based on R. Inanishvili's Language

Summary

The paper analyzes compounds formed with dialectal and new reduplicative adverbs created by R. Inanishvili (adverbial modifiers of manner). It is noticed that this type of compounds are mainly attested next to the verbs of movement and are found in both prepositional and postpositional order, e.g. *totias zmaḡacebi mtvraturi borial-borialit ḡavidnen* (Shor. 13, 10), *kali... ḡavida sicil-sicilit* (Jap. 352, 8).

It is noted that compounds formed with dialectal and new reduplicative adverbs by R. Inanishvili give a text a significant semantic function, expressiveness and archness along with different stylistic features.